საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბებერასოკო

ბებერასოკო (Leccinum ćrocipodius), ქუდიანი სოკო ბოლეტუსისებრთა ოჯახისა.

ქუდის დიამეტრი 15 სმ აღწევს, ბალიშისებრია, აქვს მოყვითალო ან მუქი ყავისფერი დახეთქილი ზედაპირი, ქვედა მხარეს – მოყვითალო, წვრილნასვრეტებიანი, მილების შრე; ფეხი სწორია, წახნაგოვანი, მოყვითალო, დაფარულია მუქი წერტილისებრი წვრილი ქერცლებით, რბილობი ყვითელია, ჰაერზე სწრაფად მუქდება.

იზრდება ყველგან ფოთლოვან ტყეში, განსაკუთრებით წიფლნარებში ზაფხულ-შემოდგომით. საჭმელად იხმარება. ხალხი შეცდომით ხშირად ბოლეტუსისებრთა სხვა წარმომადგენლებსაც ბ-ს ეძახის.

ი. ნახუცრიშვილი